პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 18 დეკემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

ფიქრი პრომიელი

288 (989) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განეგის ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ეკატერინოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

საყურადღებო განმარტება.

ჩვენს გაზეთში არის განყოფილება „პასუხი შეკითხვებზე". ეს ერთერთი საუკეთესო საშუალებათაგანია კავშირისა ჩვენ გაზეთსა და წითელარმიელთა ფართე მასის შორის. ყოველდღე რედაქციაში მოდის აუარება შეკითხვები ჩვენი წითელარმიის ნაწილებიდან. ხშირად მთავრდნილ კუთხიდანაც მოვიღებთ ხოლმე. ცხადია განყოფილება „პასუხი შეკითხვებზე" მეტად საჭირო განყოფილებაა ჩვენს გაზეთში და ის ყოველ მხრივ უნდა გაუმჯობესდეს. აქ ჩვენ გვინდა მიუთითოთ ერთ არანორმალურ მოვლენაზე, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ჩვენი მკითხველის მიერ.

ხშირად რედაქციაში მოდის ისეთი შეკითხვები, რომლებზედაც მათი ავტორები სრულიად გარკვეულ პასუხს მიიღებდენ თვით ნაწილში.

ამაგე დროს კი რა ხდება. წითელარმიელი ყიდულობს ჟურნალს, მარკას, სწერს შეკითხვას, აგდებს მას ფოსტის ყუთში, რომელიც შემდეგ მოდის რედაქციაში. აქ შეკითხვა უცდის თავის რიგს, ვინაიდან შემოსული შეკითხვების რაოდენობა მეტად დიდია. და მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ წითელი მოლაშქრე იღებს პასუხს თავის შეკითხვაზე. ტყუილა უბრალოდ იხარჯება დრო და ენერგია. და ეს იმ დროს, როცა მას შეეძლო პასუხის მიღება ნაწილის პოლიტხელისაგან, მეთაურისაგან და სხვა ნაწილში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან. ეს შეკითხველისათვის უმჯობესი იქნებოდა და რედაქციისათვისაც ვინაიდან ხშირად ამ უმნიშვნელო შეკითხვების გამო, გვიანდება უფრო მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა.

ამ ამიტომაც საჭიროა, რომ ყველამ, ვისაც რაიმე საკითხი აინტერესებთ, პირველ ყოვლისა უნდა შეეცადონ ნაწილში გამოარკვიონ ის, და თუ ნაწილში ძნელი გახდა პასუხის მიღება, მაშინ მიმართონ რედაქციას.

ვიმეორებთ ჩვენ ამ წერილით ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ ამიერიდან შეკითხვები არ მოგვწოდონ. სრულიადაც არა. პირიქით ყველა წითელი მოლაშქრე მოვალეა შეკითხოს თავის გაზეთს მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ. მაგრამ რომ პასუხი არ დაგვიანდეს, ზედმეტი დრო და ჯაფა არ დაიხარჯოს, ამისთვის საჭიროა რედაქციას გამოუცხადოს ისეთი შეკითხვები, რომელზედაც ის პასუხს ვერ მიიღებს ნაწილში. აქ შეიძლება გვიპასუხონ: „ნაწილში ცნობათა მიწოდების დარგი ცუდათ არის დაყენებული". ამაზედ თვით ისინი არიან დამნაშავე, ვინც გვერდს უვლის ნაწილის ცნობათა ბიუროს ან მაგიდას და პირდაპირ გაზეთში გზავნის უმნიშვნელო შეკითხვას, რომელზედაც მას ნაწილის ცნობათა ბიუროც მშვენივრად გასცემდა პასუხს.

ამრიგად წვრილმანი, მეორე ხარისხოვანი შეკითხვები ნაწილის ცნობათა მაგიდას, ან ყუთს, ან ბიუროს უნდა მიეწოდოს, ხოლო შეკითხვები, რომელზედაც პასუხის მიღება ნაწილში არ შეძლება, უნდა გადმოეგზავნოს ჩვენი გაზეთის რედაქციას.

მაშინ ჩვენი გაზეთის განყოფილებაც გაუმჯობესდება იმით, რომ ის სწრაფად, თავის დროზე და შეუფერხებლად გასცემს პასუხს და ნაწილიც სათანადო დონეზე დადგება ცნობათა მიწოდების საქმე.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მტკიცდება.

საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო შეუხიდებელი და დაუძინებელი მტერია დღეს ინგლისის იმპერიალიზმი. ჩემბერლენის მთელი ენერგია და ძალა მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი. სწორედ ამ მიზნით მოაწყო მან ლოკარნოს ხელშეკრულება, სწორედ ამ მიზნით აქეზებს ის წვრილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ჩვენს წინააღმდეგ და ყოველმხრივ სცდილობს ხელი შეუშალოს ჩვენი გავლენის ზრდას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებზე.

მაგრამ იმ დროს, როცა ინგლისის იმპერიალისტები სცდილობენ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის შესუსტებას, ოცნებობენ ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული შეტევის მოწყობაზე, სხვა კაპიტალისტური მთავრობები სხვა გზას ადგებიან და სხვა პოლიტიკას არჩევენ. ამ ორიოდე დღის განმავლობაში რადიომ მოგვიტანა ისეთი ცნობები, რომლებიც გვეუბნებიან იმის შესახებ, რომ ბევრი კაპიტალისტური ქვეყნები სცდილობენ ჩვენთან დაახლოებას და მშვიდრო ეკონომიური კავშირის გაბმას. აი მაგალითად: 15 დეკემბერს დიდი სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიის შორის. ამერიკის მსხვილმა მრეწველებმა გამოსთქვენ სურვილი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ ამერიკის მიერ. საფრანგეთის მთავრობა თანახმა არის განაახლოს ჩვენთან მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხების გადასაწყვეტად. როგორც აბი. ჩიჩერინის სიტყვიდან სჩანს მოლაპარაკება სასურველ ნაყოფს გამოიღებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-სავაჭრო დაახლოების საქმეში საფრანგეთთან.

როგორც ვხედავთ ბატონი ჩემბერლენის ყველა ცდები გარეშემოგვარტყას კაპიტალისტური სახელმწიფოების რკინის სალტე, უნაყოფოდ რჩება. და რამდენიც კარ უნდა ეცადოს კიდევ, ის მაინც ვერარას გახდება, ვინაიდან კაპიტალისტური ქვეყნები ვერასდროს ვერ მიაღწევენ სრულ შეთანხმებას. მათი ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. ამით ჩვენ ვსარგებლობთ და კიდეც ვანგრევთ ჩემბერლენის და სხვა ამდაგვარი გაცოფებულ იმპერიალისტურ ჯალათების ყოველგვარ შავბნელ ზრახვებს. ვანგრევთ აგრეთვე იმიტომაც, რომ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების კავშირი მტკიცეა და შეურყეველი, წითელი არმიის რიგები ფოლადისებურ მაგარია, კომუნისტური პარტია მტკიცედ დგას მუშურ-გლეხური ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმესთან.

საბჭოთა კავშირი ძლიერია თავის ერთობით, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყანას ასუსტებს ღრმა წ ნააღმდეგობანი, რომელიც ჩაქსოვილია მთელ მის არსებაში.

ამიტომაც ყველა მუშები და გლეხები თავის ენერგიული მუშაობით შრომის ფრონტებზე და წითელ არმიელები თავისი გულმოდგინე სამხედრო—პოლიტიკური სწავლებით, კიდევ უფრო უნდა ამაგრებდენ საბჭოთა კავშირის ამ სიმტკიცეს და ძლიერებას. მაშინ არავითარი ჩემბერლენის ბოროტი ზრახვები და გეგმები ჩვენთვის არ არის საშიში.

კაპიტალიზმის ყოველგვარი ცდა გაგვანადგუროს ჩვენ, დაიმსხვრევა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფოლადისებურ სიმტკიცეზე და ერთსულოვნებაზე.

—ე.

ახალი რადიო-ამბები

ჩიჩერინი პარიზში.

ჩიჩერინი დუმერგთან.

საუზმო ჩიჩერინის საპატივცემოდ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

დეპუტატთა პალატის თავჯდომარემ ერიომ გამართა ჩიჩერინის საპატივცემოდ საუზმე, რომელსაც დაესწრო საფრანგეთის მთავრობის რამოდენიმე წევრი და საბჭოთა ელჩი საფრანგეთში რაკოვსკი.

ჩიჩერინის განცხადება.

საფრანგეთში, საბჭოთა საელჩოში, სადაც მიღებულ იქნა საპრესამდე ფრანგული გაზეთის წარმომადგენელი, ჩიჩერინმა ილაპარაკა საფრანგეთთან მომავალი მოლაპარაკების შესახებ. მან განაცხადა, რომ წინასწარი მოლაპარაკება იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ურთიერთობა სასურველად მოგვარდება და მოისპობა ის მტრული განწყობილება, რომელსაც ადგილი აქვს კიდევ საფრანგეთის ზოგიერთ საზოგადოებრივ წრეებში.

ჩვენ იმედიანად ვიწყებთ მოლაპარაკებას.

პოლ დუმერი საფრანგეთის ფინანსთა მინისტრად დაინიშნა.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ყოფილი ფინანსთა მინისტრი ბრიანის მთავრობაში პოლ დუმერი. დუმერი სენატის მემარჯვენე ფრთის ეკუთვნის, რომელშიაც გაერთიანებულია ყველა ჯურის რადიკალური ჯგუფები.

გერმანიის ახალი მთავრობის ვარშემო.

დემოკრატების პარტიის მცდელი კოხი, რომელსაც მინდობილი აქვს გერმანიის ახალი მთავრობის შედგენა, განაგრძობს მოლაპარაკებას პარტიებთან. სოციალ-დემოკრატები, ცენტრი და სახალხო პარტია თანახმა არიან კოალიციისა.

ამას გარდა კოხი იმუშავებს მთავრობის მოქმედების პროგრამას.

ოპოზიცია დიდი კოალიციის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მასებს შორის იზრდება ოპოზიცია დიდი კოალიციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატების საოლქო ორგანიზაციებმა კიელსა და სხვა ქალაქებში მიიღეს რეზოლიუციები დიდი კოალიციის წინააღმდეგ.

წინააღმდეგ წავიდა ავრეთვე ჰესსენის ორგანიზაციაც.

საკონცესიო ხელშეკრულება იაპონიის მრეწველებთან.

ამ ხანებში იაპონიის მრეწველებთან დადებულ იქნა ჩრდილოეთ სახალინში საკონცესიო ხელშეკრულება.

კონცესიონერები იცავენ ჩვენს კანონებს შრომისა და ხელფასის საკითხებში, ხოლო კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ საკონცესიო სარეწავო შეუსყიდველად გადადის საბჭოთა კავშირის ხელში.

ბრძოლა სირიაში.

დრუზებმა შეიჭრენ ქალაქ დამასკოში.

ფრანგები ზარბაზნებს უშენენ ქალაქს.

14 დეკემბერს სადამოს დრუზები შეიჭრენ დამასკოში.

ფრანგებმა კვლავ დაუშინეს ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დამასკს. განსაკუთრებით დაზარალდა ღარიბთა უბანი.

რიზა-ხანმა ერთგულების ფიცი მიიღო.

პოლონეთმა და საფრანგეთმა იცვნეს რიზა-ხანი სპარსეთის მეფედ.

15 დეკემბერს რიზა-შახმა (ძეფემ) მიიღო ერთგულების ფიცი.

საფრანგეთმა და პოლონეთმა იცვნეს რიზა-ხანი სპარსეთის შახად. რიზა-ხანის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით სპარსეთის დროებითი მთავრობა გადადგა.

შაბათს, 19 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათისთვის, სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია ტფილისის მ. გ. და წ. არმ. დეპუტატთა საბჭოს საზეიმო სხდომა, საქართველო-საფაბრიკო მების წარმომადგენლების მონაწილეობით, 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად.

საზეიმო სხდომაზე მოწვეულნი არიან ამ.-კავკასიის და საქართველოს ცკ-ს წევრები.

დღის წესრიგში: აბხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება „1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი".

მოხსენების შემდეგ წარმოდგენა.

საბჭოს თავჯდომარე სუხიშვილი.

წაიკითხე და გამოიცანი.

მინდა, რომ ყველამ გაიგოს
ეს ჩემი გამოცანაო;
ახლავე დროა ვეშველოთ,—
თვითონ არ იცით განაო?!
ამბობენ ჩვენი სარკეა,—
სინათლით ამოვლილია;
ახლა კი უნდა მივუზღათ
ნამადვარსა ვალია.
ო, ვინაც ქართულ წითელ ჯარს
მზედ მოევლინა ბნელშია;
ერთიც არ არის ჩვენ შორის
რომ არ ეჭირის ხელშია,—
ზე—ალმაც ამაყ ძახილით
ეტაკა ბევრ მტერს ყელშია...
ის უნდა ყველგან გავრცელდეს,—
შეისად გავძლებთ ვერაო;
ბრძოლაში შეგვაგნებინა
იარაღების მღერაო,—
ლამაზ დროშების ფრიალზე
ელვის თვალებით მზერაო...
სათითად გამოვაწეროთ,
იარსებოს, რომ, მარადი
ხალხი, მშრომელი, ანათლოს
და ჩვენს ჯარს ექნეს ფარადო,—
ილხენდეს, მრავალჟამიერ,
სიცოცხლის გასახარადო...

ს—ნ.

უცხო სიტყვების ახსნა

კონცესია—სანადირო ხელშეკრულება განსაზღვრულ ვადით რაღაცის გზების, ხიდების ასაგებად ან მიწის წიაღის ნედლი მასალის დასამუშავებლად.

რელიგია—სარწმუნოება; რწმენა გარეშე ქვეყნიერი, ზებუნებრივ ძალთა არსებობაში, რომელსაც თითქოს რაღაც გავლენა ჰქონდეს ცალკე ადამიანის ცხოვრებაზე.

პროგრამა—უახლოეს და საბოლოო მიზნების ჩამოყალიბება; საშუალო გეგმა.

კოლექტივი—მთავრობა, რომელშიაც შედიან სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები.

ოპოზიცია—1) ბრძოლა მთავრობის სამუშაო ხაზის წინააღმდეგ; 2) პარტიები, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ.

რადიკალური პარტია—პარტია რომელიც მომხრეა რეფორმების, სახელმწიფოებრივ ცვლილების ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ისე, რომ ეს ცვლილებები არ ეხებოდეს კაპიტალისტურ წესწყობილების საფუძვლებს.

კაპიტალისტური წესწყობილება—წესწყობილება, რომელიც დამყარებულია ბრძოლის ფართე ექსპლოატაციაზე და კერძო წარმოების ნიადაგზე.

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

ქ. მეთაურთა სკოლის პირველ კომუჯრედში.

11 დეკემბერს მოხდა ქართ. მეთაურთა სკოლის პირველ კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ კომუჯრედის და კომკავშირის წევრები და უპარტიო ამხანაგებიც.

ერთ-ერთმა ამხ-მა კრებას მოახსენება გაუკეთა მე-4 პარტყრილობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქ. კომპარტიის ცეკა, როგორც ეს ყრილობაზე დადასტურდა, სავსებით სწორ ხაზს ატარებდა, როგორც პოლიტიკურ, ისე შინა პარტიულ ცხოვრებაში. მოახსენებელმა მეტი ყურადღება მიაქცია პარტმუშაობას სოფლად.

მეორე საკითხზე მოახსენებას აკეთებს ლენკუთხის გამგე. მან აღნიშნა, რომ კარვებიდან დაბრუნებისას 1 ასეულს არ გააჩნდა ლენკუთხე და მხოლოდ ამავე ასეულის კურსანტებს შორის შეგროვილ ფულით შევს ძელით ლენკუთხის გაკეთება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ამხანაგის სიტყვებით, ლენკუთხის მუშაობაში კურსანტების მთელი 100 პროც. ღებულობს მონაწილეობას

ლენკუთხის მუშაობის შესახებ ბევრი შეკითხვები იყო. ბიურო-კოლექტივის წევრებმა წინადადება შემოიტანეს, რომ ამიერიდან მეტი კავშირი არსებობდეს ლენკუთხესა და ბიურო-კოლექტივს შორის, რომ იდეური ხელმძღვანელობა უკანასკნელის მხრივ პირველზე მეტად გაძლიერდეს.

კურსანტი გ. ჩიტაიშვილი.

მეექვსე ლეგიონის მეხუთე ასეული.

12 დეკემბერს ჩვენს ასეულში მოწვეული იქნა ასეულის ახკომკავშირის ჯგუფის ღია კრება, რომელსაც კომკავშირელებსა და პარტ-წევრებს გარდა, დაესწრნენ 140-დე წევრამდელები. კრების დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი საქართ. კომპარტიის მეოთხე ყრილობის შედეგები. ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ყუროშვილი, რომელიც ვრცლად და დამსწრეთა გასაგები ენით ღებულობს საქართველოს კომპარტიის ყრილობის დადგენილებებს. მომხსენებელი აცნობს დამსწრეთ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ყოველმა წითელ არმიელმა, წევრკანდიდატმა, პარტიისა და კომკავშირის წევრმა და უპარტიოებმა, ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ ყველამ ერთსულოვნად კარგათ შეისწავლონ ყრილობის დადგენილებანი, განსაკუთრებით კი სოფლად მუშაობის შესახებ და შემდეგ ყველამ ხელი შეუწყონ და თითონ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ახკომი მეფარიშვილი.

ყურადღებას გვაქცევენ

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში ლეგიონის კომკავშირის მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა, ბიუროო კოლექტივისაგან, რომელიც სისტემატურად გვიგზავნის სათანადო დირექტივებს მუშაობის ჩასატარებლად. 10 დეკემბერს კი ლეგიონში გვეწვია დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან კომკავშირის ორგანიზატორი ამხ. ხომერკი. ამხანაგმა დაათვალიერა კავშირის ყველა ჯგუფები, რომლებიდანაც გამოირკვა, რომ ჩვენს ნაწილში სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო კარგათ ყოფილა ჯგუფები. ამხანაგმა მაინც მიგვითითა ზოგიერთ დეფექტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მუშაობაში.

იმედია ასეთი ყურადღება არ მოგვაკლდება ამხანაგებისაგან და მით შეკვეძლებინებენ მუშაობის ნაყოფიერად წარმოებას.

წ. არმ. გრ. ბერიაშვილი.

შეისწავლე სამხედრო საქმე.

ჯავშნოსანი ნაწილები.



შორეულ დროში ადამიანები სცდილობდენ გაეკეთებიათ ისეთი რამ, რომლის საშუალებითაც შესძლებოდათ ახლოს მისულყვენ მტერთან და გადაესულიყვენ ხელჩართულ ბრძოლაში. მაგალითად, ძველ რომში ხმარობდენ ერთგვარ საბრძოლო ეტლებს და კოშკებს ბრობლებზე. ერთიცა და მეორეც იცავდა მეომრებს მტრის შუბებისა და ისრებისაგან და შეეძლოთ მიდგომოდენ ყოველ წერტ. კოშკები ჩვეულებრივად მიადგებოდა ცახე-სიმაგრის კედელთან. რამოდენიმე ათეული მეომარი ჩასხდებოდა კოშკში, რომლის კედლები უზრუნველყოფდა მეომრებს სიფრთხისაგან. მეომრები დაუშენდენ მტერს შუბებსა და ისრებს. როცა არევ-დარევას შეიტანდენ მტრის რიგებში, მეომრები გამოვიდოდენ კოშკიდან და მიდიოდენ იერიშზე.

შემდეგში ეს საომარი ეტლები უკმობესდებოდა. თავი და თავი ის იყო, რომ ეტლს კარგად დაეცვა მასში ჩამსხდარი მეომრები, ყოფილიყო მაგარი, შესაძლებელი ყოფილიყო ჩქარი გადასვლა და მიეცა მტრის დაზიანების შესაძლებლობა.

500 წლის წინად პრუსიაში დამზადებულ იქნა ყოველმხრივ დახურული საომარი ეტლი. მას შემოკრული ჰქონდა გარს მუხის ძელები და მოძრაობაში მოჰყავდათ ხელით (მიაგორებდენ). მასში თავსდებოდა ასამდე კაცი.

საომარი ეტლი, რომელ... შეჯავშნებულია მუხის ... ლებით; მოძრაობაში მო... ყვდათ ხელით.

რამოდენიმე წლის შემდ... ასეთ ეტლს გაუკეთეს გვი... დებზე ორი ბორბალი, რომ... ლიც მოდიოდა მოძრაობაში... ქარის საშუალებით და მიჰყ... ვდა ეტლი, რასაკვირველია... ასეთი ეტლის მოძრაობა მეტ... ნელი იყო. შემდეგ, როცა... შემოღებულ იქნა ხმარებაში... ორთქლის ძალა, საომარი ეტ... ლზე დაყენეს ორთქლის მან... ქანა, რომლის მეობებით ეტლ... მოძრაობა ავიდა საათში ... ვერსამდი.

მაგრამ ადამიანები ამაზე ... შეჩერებულან და ყოველთვის... მუშაობდენ საომარი ეტლ... გასაუმჯობესებლად.

და აი, მსოფლიო ომის პ... რიოდში გამოჩნდა უკვე გაუ... ჯობესებული საომარი ეტლ... რომელიც მოძრაობდა მოტო... რის საშუალებით.

ის დაფარული იყო ჯავშ... ნით, ე. ი. ისეთი ფოლადი... ფირით, რომელსაც ვერ სჭრ... ჩვეულებრივი ტყვია. ასეთ... მანქანები შეერთებული არი... ცალკე ჯავშნიან ნაწილებში.

ასეთი ნაწილებია: 1) ჯავ... შნიან ავტომობილების ნაწი... ლი, 2) ტანკეების ნაწილი, 3... ჯავშნიანი მატარებლები.

ჯ.

შეისწავლე გრანატა.

როდის შემოიღეს ხმარებაში გრანატები.

ხელით სატყორცნი გრანატა დიდი ხანია რაც გამოგონეს. 600 წლის უკან გამოიგონეს დენთი. მის შემდეგ ჩაჩყრიდენ პატარა თიხის ჭურჭლებში დენთს, ჭურჭელს მიამაგრებდენ პატრუქს. გატყორცნის დროს პატრუქს ცეცხლს გაუჩენდენ. პატრუქიდან ცეცხლი დენთსაც უნთებდებოდა და ჭურჭელი აფეთქდებოდა. თიხის ჭურჭლის აფეთქება დიდ ზარალს ვერ მიაყენებდა მტერს, მაგრამ მისი მნიშვნელობა უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ მტერზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა და აშინებდა მას. იმ დროს ადამიანები ცრუმორწმუნენი იყვნენ და ხედავდენ ამ გრანატებში ეშმაკის მოქმედებას.

შემდეგში გრანატებისთვის ხმარობდენ შუშის ბოთლებს, ლითონის ბურთებს, დოქებს და სხვას, ხოლო როცა აღმოჩენილი იქნა თუჯი, დაიწყეს გრანატების დამზადება თუჯისაგან.

მაგრამ გრანატების დამზადება მაინც ვერ იყო კარგათ გამოჯობესებული: გრანატა ხშირად დაინშნულებამდე სჭედებოდა მეომრის ხელში ან და გასროლისთანავე და ზიანს აყენებდა არა მტერს, არამედ თავისთავს. რომ ეს ნაკლი თავიდან აეშორებინათ, დაიწყეს ისეთი გრანატების მზადება, რომელიც დაცემით აფეთქებულიყო. მაგრამ ეს ისეთი ნაკლი იყო, რომელიც დაცემა გააჩენდა ნაპერწკალს კაჟისაგან, ნაპერწკალი აანთებდა პატრუქს და უკანასკნელი კი ცეცხლს უჩენდა დენთს. მაგრამ ეს გრანატები ხშირად ტყუვებდენ და არ სჭექობდენ. როცა გამოგონებული იქნა ფეთქებელი ნივთიერებანი (როკსილინი, ნალჰი და სხვა), გრანატების დამზადება გაჯობესდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს (1904-1905 წ.) გრანატებს იშვიათად ხმაროდენ. ამავე ომის დროს გრანატებმა დაიწყეს ხმარობა. ამზადებდენ კონსერვების კოლოფების, პოთლების, ქვეშებისაგან. მასრებისაგან და სხ. პატრუქი კეთდებოდა იმ სიგრძის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მოგესწრო მტრისკენ გატყორცნა და იმავ დროს მტერს არ მოესწრო აფეთქებამდე. მისი უკანვე გამოტყორცნა, რაც ხშირად ხდებოდა იმის გამო, რომ პატრუქი ვერ ასწრობდა დაწვას და გრანატა აფეთქებამდე მოკლედ რომ ვსთქვათ, გრანატები იაპონიის ომის დროს ცუდად მზადდებოდა.

და აი მსოფლიო ომის დროს გრანატების დამზადება გაჯობესდა, მათი მოქმედება გაიზარდა და ფართეთ შეეყარა ხმარებაში.

ჯ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲖᲐᲠᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ.

1-ლი საკავშირო ასეული.

10 დეკემბერი Ჭდაუვწყარი იქნება საკავშირო ასეულის წითელი არმიელების ხსოვნაში. ასეულის სამი წლის თავის შესრულების გამო გამართულმა ზეიმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ მებრძოლებზე. მთელი ასეულის შემადგენლობა ჩაბმული იყო დღესასწაულის სათანადოთ ჩატარებისათვის მზადებაში.

ასეულის ჯაზარმები მორთული იქნა მწვანე გირლიანდებით, ამ დღისთვის გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სავანგებო ნომერი, რომელშიდაც გაშუქებული იქნა ასეულის ისტორია და ბილი მიღწევები სამი წლის განმავლობაში.

დღითვე გვეწვიენ რუსულ-ქართულ სამხედრო ნაწილებიდან მოპატიჟებული სტუმრები. გვეწვია აგრეთვე კ. წითელ დროშოსან არმიის კავშირის უფროსი ამხ. როზე.

დაიწყო მისალმებები. ასეულის ეზოში ჩამწკრივებული წითელ არმიელები ყურადღებით ისმენდნენ ორატორების სიტყვებს. პირველი მისალმება გამოვიდა ნაწილის სამხკომი, შემდეგ დივიზიის შტაბის უფროსი და ბოლოს კი სხვადასხვა ნაწილების წარმომადგენლები.

მისალმების შემდეგ ასეულის მთელმა შემადგენლობამ სტუმრებთან ერთად გადაიღო სურათი.

დასასრულ გაიმართა საღილი კოოპერატიულ სასადილოში.

საყურადღებო იყო კავკასიის წითელ დროშოსან არმიის კავშირის უფროსის ამხ. როზეს სიტყვა, რომელმაც შემდეგი სთქვა: „თქვენ ქართველებს, ძალიან გიყვართ საქართველო, რომელმაც თავი მეც შემაყვარა, მ გრამ ის უნდა გვიყვარდეს და ვიცავდეთ ჩვენ იმდენ დ, რამდენადაც საქართველო იქნება მუშებისა და გლეხების სამშობლო და არა ბურჟუა-კაპიტალისტების.

ზეიმი საღამომდე გაგრძელდა, რის შემდეგ გავემართეთ დივიზიის კლუბში. „დდემული იქნა წარმოდგენა ჩვენი ნაწილის საკუთარი ძალებით.

სამხკორი ვ. ᲙᲣᲨᲮᲣᲚᲐ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ.

2-რე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი უკვე დადგა წარმატების გზაზე. მიმდინარე წელში ნაწილში ბევრი რამ საყურადღებო საქმეა გაკეთებული. კარგა ხანია, რაც ლეგიონში მოწყობილი იქნა არმიელებისთვის სასადილოები, სუფთა და ნოყიერი სადილები კარგ შთაბეჭდილებას ახდენს განსაკუთრებით ახალწვეულ ამხანაგებზე. სხვა მხრითაც უზრუნველყოფილია ლეგიონი.

დიდი მუშაობა სწარმოებს ახალწვეულებთან. წერა-კითხვის უცოდინარი ბევრნი არიან მათ შორის, მაგრამ მიღებისთანავე აყვანილ იქნენ ლიკბეზაზე, დაყვეს ჯგუფებად, დაუნიშნეს მასწავლებელი, და იმედი გვაქვს ჩქარა მოვახდენთ მათ შორის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ლეგიონში ყოველ კვირა გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს წითელ არმიელთა ფართო მასა. გარდა ამისა ასეულებიც უშენებენ თავიანთ კედლის გაზეთებს ყოველ-კვირეულად. წითელ არმიელები დიდათ არიან დაინტერესებული გაზეთებით და გულმოდგინედ კითხულობენ მათ.

საკლუბო მუშაობა ძლერ გამოცოცხლდა. კლუბში ყოველ კვირაობით იმართება წარმოდგენები და კინო სურათები. გვაქვს აგრეთვე საღუმბოვად მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელშიდაც თითქმის ყოველ საღამოობით იმართება საუბრები და შეკრება სხვადასხვა საკითხებზე.

საერთოდ ლეგიონში დიდათ გამოცოცხლდა უკანასკნელ ხანებში კულტურული მუშაობა.

სამხკორი ოლ. ᲙᲣᲜᲘᲐᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

1-ლი საარტ. ლეგიონი.

ლეგიონში თავიდანვე სისტემატიურად სწარმოებდა ახალწვეულებთან მეცადინეობა, რამაც ჩქარა გამოიღო სასურველი შედეგი. წ. არმიელებმა უკვე შეისწავლეს ცხენების მოვლა და მათი დასუფთავება, ძველი არმიელები დიდ დახმარებას გვიწევდენ ამ მხრივ. ისინი ყოველთვის ახალწვეულებთან იყვენ და ასწავლიდენ, უხსნიდენ ყველა საჭირო საკითხებს. ახალწვეულებმა კარგად იციან აგრეთვე ქვემეხზე სამსახური, მათი დაშლა, აწყობა და გასროლა.

ლეგიონში არის აგრეთვე ახალწვეულებისაგან შემდგარი უმწყობროთა გუნდი. შვ სამუშაოზე ეს ამხანაგები ჯერ არ გაყავთ. მათაც ისე ამაცდინებენ სამხედრო საქმეში, როგორც სხვებს.

ლეგიონში სწარმოებს უმაცროს მეთაურთა სკოლის შესავსები სამხედისი, რომელშიდაც პირველი ივნისიდან დაიწყება სისტემატიური მეცადინეობა.

ნაწილში ჩამოყალიბდა ყველა წრეები. წითელ არმიელები ერთსულოვნათ ჩაეწერენ წრეებში და შესაფერ მუშაობასაც აწარმოებენ.

ლეგიონის მესვეურებიც ამჩნევენ არმიელებში დიდ დაინტერესებას და ყოველმხრივად სცდილობენ მათთვის ხელის შეწყობას.

სალამოობით ათ საათამდე წითელ არმიელებთან იმყოფებიან მეთაურები და ესაუბრებიან მათ საჭირო საკითხებზე.

სამხკორი შ. ბურკაძე.

ᲔᲠᲓᲒᲣᲚᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲔᲮᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ.

ცხენოსანი ლეგიონი.

ახალწვეულების მოსვლით ცხენოსანი ლეგიონი ძლიერ გამოცოცხლდა. გაჩაღდა სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა. გაცხოველებულად მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარებთან მეკადინეობა. სამხედრო საქმით ძლიერ დაინტერესებული არიან არმიელები. ყველა ხალისით ეკიდება ცხენებზე ვარჯიშობას და იარაღის შესწავლის საქმეს. ხშირად შეჯიბრსაც კი მართავენ ერთმანეთთან.

სულ მალე ჩაწერილ ლეგიონი გამოუცდელ ახალწვეულებისაგან მიიღებს კარგად გაწვრთნილ და დისციპლინირებულ მებრძოლებს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ.

ე. ნინოშვილის მოთხრობის „გოგია უიშვილის“ გმირის გასამართლება მე-3 ლეგიონში.

11 დეკემბერს მესამე ლეგიონში ადგილობრივი ძალებით მოხდა ხსენებული მწერლის გმირის „გოგია უიშვილის“ ლიტერატურული გასამართლება. გასამართლების დაესწრო ლეგ. წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა. პირველად მოსმენილი იქნა მოხსენება კლუბის მნიშვნელობაზე, რის შემდეგ შეუდგენ გასამართლებას. წინასწარ მოთხრობის შინაარსი გავეცანით. კვირაკაძემ. ნაფიცი მსაჯულები არჩეული იქნენ წითელ არმიელებისაგან. ბრალს სდებდენ ამხ. ახ. ხვიტია და კლაძე. იცავდენ ჭყონდა და სიმონიშვილი.

ბრალდება ჩამოყალიბებული იყო შემდეგ მუხლებზე: 1. სულიერად დაცემა. 2. საზოგადოებიდან გაქცევა. 3. ოჯახის ღალატი. 4. ცუდი მაგალითის ჩვენება [გლეხობისათვის და 5. შეგნებული თვითმკვლელობა, რომელსაც თან მოყვა მისი ცოლშვილის გაუბედურება.

კამათი მხარეთა შორის მეტად საინტერესო იყო. მრავალმა არმიელებმაც მიიღეს მონაწილეობა.

საერთოდ გასამართლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

დასასრულ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: „ბრალდების პირველ ოთხ მუხლში უიშვილი გამართლებული იქნეს, ხოლო ის დამნაშავედ შეგნებულად თვითმკვლელობისათვისო“.

აუდიტორია ტაშის ცემით შეეგება განაჩენს.

კარგი იქნება ჩვენი კულტმოშუაგენი ხშირად მოაწყობდენ ასეთი ხასიათის გასამართლებებს. მას დიდი აღმზრდელობითი ღნიშვნელობა აქვს.

სამხკორი ნიკა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲛᲔᲓᲐᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

1-ლი ლეგიონი.

14 დეკემბერს პირველ ლეგიონში მოწვეულ იქნა რემედასის უჯრედის წევრთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება უჯრედის ბიუროს წარსული მოღვაწეობის შესახ ებ. მომხსენებელმა გააცნო ამხანაგებს აგრეთვე უჯრედში წევრად მიღების წესი. მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე რომ წინათ უჯრედის წევრებად თითქმის მთელი ლეგიონი ყოფილა ჩაწერილი, რასაც ამ ჟამად არ აქვს ადგილი და ხაზი გაუსვა ახალწვეულებში ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობას.

საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ ბიუროს ამ ჟამად გაცილებით გაადვილებული აქვს მუშაობა, რადგან ყველა საჭირო ინსტრუქციები ამ ჟამად მოდის ქართულად ტფილისის კომიტეტიდან. ბიუროს მოღვაწეობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო. ამორჩეული იქნა ბიუროში ორი ახალი წევრი, შვიბულებაში წასულთა მაგიერ.

ამის შემდეგ კი მოხდა რემედასის კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ.

6-ᲡᲔ ᲚᲔᲒ. 1-ᲚᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ.

ლეგიონში წითელ არმიელებს უცაბედათ გაუტყდათ ლენინის კუთხეში დადგმული ლენინის ბიუსტი. ამხანაგები ძლიერ შეწუხდა ამ გარემოებამ, მაგრამ იმ წუთისვე შეჰკრიბეს თავიანთ შორის ფული და შეიძინეს უკეთესი ბიუსტი. ფული იმდენი დარჩათ ამხანაგებს შეგროვილი რომ, ბიუსტის გარდა წიგნებიც შეიძინეს და დაარსეს ცალკე პატარა ბიბლიოთეკა, რომელსაც უწოდეს 1-ლ ასეულის წითელ არმიელთა სახელობის ბიბლიოთეკა. წითელ-არმიელებს ძლიერ ახარებთ ეს გარემოება. თავიანთ ფულით შეძენილ ბიბლიოთეკას არაჩვეულებრივი მზრუნველობით ეპყრობიან. პირებენ კიდევ ფულის შეგროვებას და ლიტერატურის შეძენას.

მალე ალბად თავიანთ სამეთხველო-ბიბლიოთეკას ისე გაზრდიან ჩვენი არმიელები, რომ სხვასაც გაუწიოს სამსახური.

საჭიროა სხვა ნაწილებმაც აიღონ მაგალითი ამხანაგებისაგან.

სამხკორი შ—ნელი.

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ №6

გუშაგი სდგას პატიმრების საკანთან. საკანში პატიმრები იმღერიან და ტაშს სცემენ. ერთი პატიმარი მოადგა რკინაბანდს ფანჯარაზე და ელაპარაკება გუშაგს.

1) რა უნდა ჰქნას გუშაგმა, რომ ალაგდინოს სიწყნარე და წესრიგი პატიმრებ შორის?

2) რატომ უნდა იქნას დაცული სიჩუმე პატიმრებთან საკანში?

3) შეუძლია თუ არა გუშაგს ელაპარაკოს პატიმარს?

ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲔᲑᲖᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ.

მეოთხე ლეგიონის მეექვსე ასეული.

სულ ორი კვირაა, რაც ჩამოყალიბდა ჩვენი წერტი დ. მოლითში. მას აქეთ ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. წვევამდელები ძლიერ კმაყოფილი არიან მეთაურების, რომლებიც მუდამ წვევამდელებში არიან, უხსნიან ყოველივე გაუგებარს და სხ.

პოლიტ-ხელმძღვანელები კარგები გვყავს, რომლებიც გამოყოფილი არიან ახალმკვიდრეებიდან. მეთაურები და პოლიტხელები მდაბიო, წვევამდელთათვის ბასაგები ენით უდგებიან ყოველივე საკითხს, რის გამოც არც ერთი საკითხი გაუგებარი არ რჩება წვევამდელებისათვის.

წვევამდელებში დისციპლინის დარღვევას არ აქვს ადგილი. ყველა ცდილობს კარგათ შეითვისონ პოლიტიკური და სამხედრო საქმე. მეცადინეობის გატარების დროს ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მასში, აძლევენ მომხსენებლებს მრავალ შეკითხვებს და სხ.

ამ რამოდენიმე დღით ადრე ჩვენს წერტზე მუშაობის დასათვალიერებლად მოვიდა ათასეულის თავი ამხ. გაბუნია, რომელმაც წვევ. საერთო კრებაზე გაგვაცნო მოხსენება ტერ. სისტემისა და განსაკუთრებით კი წვევამდელთა მხედების ამოცანებზე. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

ტერ-სამხკორი ვ. ფცქიალაძე.

ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲛᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ.

მეექვსე ლეგიონის მეხუთე ასეული.

ჩვენს ასეულს აქვს წვევამდელთა წერტი ქვე მაჩხაანის რაიონში, სადაც ამჟამად მეცადინეობს 150-დე წვევამდელი.

წერტის შენობასთან არის სათეატრო დარბაზი, სადაც მუშაობის წარმოება, წარმოდგენა-საღამოების გამართვა დღემდე შეუძლებელი ხდებოდა დარბაზის მოუწყობლობისა და შიგ დასაჯდომი სკამების უქონლობის გამო. არც საამისო თანხა ქონდა თეატრს. მაგრამ ეს უდიდესი ნაკლი გამოსწორებულ იქნა წვევამდელთა დაუღალავი შრომით. ჩვენი წერტის წვევამდელებში მრავალი ალმონჩხდენ დურგლები, რომლებმაც გამოსჭვეს სურვილი გაეკეთებინათ საკუთარი შრომით გრძელი დასაჯდომი სკამები, თავიანთი თეატრისთვის. მართლაც იშოვნეს ხე-ტყე და დურგალი წვევამდელები შეუდგენ სკამების დამზადებას. რამდენიმე დღის განმავლობაში მათ მიერ გაკეთებულ იქნა 40 ცალი გრძელი სკამი, რაც ამ ჟამად ამშვენებს თეატრის დარბაზს.

წვევამდელთა ასეთი მუშაობით და შრომის—უნარიანობით აღტაცებაში მოვიდენ ადგ. ხელისუფლება და გლეხები. როცა იმათმა დაინახეს თავიანთი თვალით, მოწყობილი თეატრის დარბაზი და ახლად გაკეთებული დასაჯდომი სკამები, გაკვირდენ, მაღლობა გადაუხადეს წვევამდელებს და უსურვეს მათ გამარჯვება მომავალ მუშაობაში.

წით. არმ. მეფარიშვილი.

ᲜᲐᲙᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲓᲔᲡ.

მე-6 ლეგიონის უმცროს მეთ. სკოლის პირველი ოცეული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ყოველივარი მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. ოცეულის თავი და პოლიტხელი არავითარ შრომას არ ზოგავენ, რომ ჩვენთან მუშაობა დაიყვანონ თავის სიმაღლეზე.

მუშაობასთან ერთად ჩვენს ნაწილში არის სხვადასხვა ნაკლი. ჩვენს ოცეულს არა აქვს წესრიგად მოწყობილი სასადილო. სადილის მიღების დროს ერთი აური-ზაური. ყველა ცდილობს პირველ რიგში მიიღოს სადილი. გარდა ამისა ოცეულში მარცხენა მხარეზე არის ჩამტვრეული ფანჯრების მინები და ოთახებში ღამე დაძინება ყოვლად შეუძლებელია, რადგან დამტვრეული მინებიდან ჰქრის ქარი.

საჭიროა ამ მოვლენებს მიექცეს სათანადო ყურადღება ვიმედოვნებ ჯერ არს.

ახალწვეული ა. ანტონოვი.

ვინ იძნება შემდეგი?

ჩვენ მეორე საარტილერიო ლეგიონის მეორე წერტილიდან, ამხ. შ. მოსეშვილის გამოწვევის გამო, ვწერთ გაზ. „წითელ არმიელს“ თითო თვით და ვიწვევთ შემდეგ ამხ. ამავე წერტილიდან: წერტის უფროსს ამხ. გ. დევდარიანს.

მეთაურებს: წულაიას და გეთიას. პოლიტხელს ამხ. კოპლატაძეს.

წვევამდელებს: მ. გედევანიშვილს, ბიტარაშვილს, კ. კერესელიძეს, ცინცაძეს, ბობოხიძეს, პ. წერეთელს, ა. ჯანაშვილს, გ. ადამიას, ლ. წერაძეს, გ. ცხვარაძეს, ა. ანდრიაშვილს, ი. ნატრაძეს, ი. კილასანიას, საშა მანინს, მ. ქოიავას და კ. გონაძეს.

2 საარ. ლეგ. 1-ლი წერტილიდან: წერტის უფროსს ამხ. ოვანოვს; მეთაურს კ. გვახარიას და წვევამდ. გ. და კ. ლორთქიფანიძეებს და გ. ჩაკვაძეს.

დრამწრის ხელმძღვანელს ამხ. გ. შენგელაიას (შურაბსკის).

მეორე ქვეითა წერტილიდან წერტის უფროსს ამხ. ვ. კაკარიაშვილს, ამხ. კაკაჯაშვილს, მ. იაშვილს, ა. კარაბაძეს, შ. გეგეჭკორის და გ. ლომინოვს.

2 ე საარტ. წერტ. წვევამდელები გ. წერეთელი გ. ტოგონიძე და ვ. ბილისელიშვილი.

გამოასწორეთ ნაკლი.

მე-4 ლეგიონის მე-3 ათასეული.

პირველ დეკემბრიდან ხაშურის წერტზე დავიწყეთ 1904 წელში დაბადებულ წვევამდელებთან მეცადინეობა. მართალია პირველად წვევამდელთა 60% მეტი არ გამოცხადდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ გამოცხადდენ ყველა დანაჩენები და შეუდგენ მეცადინეობას. წერტზე მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად, გეგმის მიხედვით. ყველა გულმოდგინეთ ვკადება სამხედრო ცოდნის შეძენას.

ჩვენთან არიან აგრეთვე წერა კითხვის არა მცოდნენი, რომლებიც თავიანთი სურვილის თანახმად მივამაგრეთ სალიკვიდაციო სასწავლებლებზე და მეცადინეობენ საღამოობით. მაგრამ ერთი გარემოება გვიშლის ხელს, რაც გამოიხატება შენობის უქონლობაში. გვაქვს შენობა მხოლოთ მას არც ერთი მინა არა აქვს და თვით შენობაც პატარაა.

გარდა ამისა არ გვაქვს დასაწოლი ნალები და წოლა გვიხდება იატაკზედ. ბევრს ამის გამო უხდება სახლში წასვლა და დილით ისევ მოსვლა, რაიც იწვევს დაგვიანებას მცადინეობაზე. მივმართეთ აღმასკომს და მან გვიპასუხა ეს საკმხედრო კომისარიატის საქმეო. კომისარიატიც ყურადღებას არ გვაქცევს.

მეთვალყურე ლეკი.

ჩვენმა შენიშვნებმა გასჭრა.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ჩვენს სკოლაში ბევრ არანორმალურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რომლებიც არ გამოჰპარვიან სამკორთა ყურადღებას და სათანადო შენიშვნები თავსდებოდა მათ შესახებ გაზ. „წითელ არმიელში.“

სკოლაში ყურადღება ექცეოდა ყველა ამ შენიშვნებს და სასწრაფოდ იღებდენ ზომებს გამოსასწორებლად.

ასე მოხდა პარკმახერის გაწაშემო, სკოლის ლიტორების, მრცხვების და მრავალი სხვ., რისთვისაც მადლობის ღირსი არიან სკოლის მესვურები.

უკანასკნელად კარკი იქნება თუ ჩვენი მნე ყურადღებას მიიქცევს იმ გარემოებასაც, რომ სკოლაში არა გვაქვს კარგი ბანათება და გვეძნელება ღამით გაკვეთილების დამზადება.

კარკი იქნება გვიხსნიდენ ამ დამაბრკოლებელ მოვლენისაგანაც.

სამხკორი მუშკუნა.

დროზე გამოვასწოროთ ეს ნაკლი

1-ლი ცალკე მესანგრე ასეული.

ჩვენს ნაწილში გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „წითელი მესანგრე“, რომელიც სინამდვილეში დღემდე დამაკმაყოფილებელი ვერ არის ვერც სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობით, და ვერც თავისი შინაარსით.

ჯერ კიდევ ზაფხულის პერიოდში, ბანაკობის დროს, კედლის გაზეთის მუშაობაში არ ფიქრობდენ და არც არავითარ ზომებს არ ღებულობდენ ჩაეთრიათ მუშაობაში წითელ არმიელები და ამით მუშაობა ნაყოფიერი გაეხადათ.

ამ პერიოდში მუშაობა ძლიერ მოისუსტებდა რაც გამოიწერდა და მიქონდა რედაქციაში და ან რომ დაეწერა სარედ.კოლეგია არ გაუშვებდა, ხშირად დაურჩა ადგილი, რომ წით. არმ. წერილებს კოლეგია არც უშვებდა გაზეთში და არც პასუხს აძლევდა წერილის ავტორს.

ასეთი მუშაობა არ ვარგა, მით უმეტესათ რომ ნაწილს ყავს საკმაოთ გათვითცნობიერებული წით. არმიელები—სამხკორები. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება და ამ დარგის მუშაობაში ყველას ჩაბმა.

ახკორი ოქტომ'ერი.

ამბები სოფლებიდან.

გლეხკომების მოსავალი. გორის მაზრის გლეხკომებს წელს მოუვიდათ 7.500 ფუთი ხილი, რომელიც უკვე გაასაღეს კოოპერატივების საშვალებით.

კლუბების მოწყობა. გორის სააზრო გლეხკომის მეთაურობით, მიმდინარე წლის განმავლობაში მაზრაში მოეწყო 8 კლუბი.

საქონლის დაზღვევა. ახალ ქალაქის აღმასკომმა დაადგინა შემოიღოს გლეხებისათვის საველდებულოთ მუშა-საქონლის დაზღვევა.

ფართლეულობა სოფელს. ახალქალაქის ძთლ. მომხ. საზ-ბამ მიიღო დიდძალი ფართალი, სოფლის კოოპერატივებისათვის დასანაწილებლათ.

ახალი ამბები.

— **ავიაქიმის მუშაობა.** საქ. ავიაქიმის პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაატაროს კამპანიები ავიაქიმის ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლათ და წევრთა ხელახალ აღსარიცხვათ.

— **1-ლი იანვრიდან** საქ. ავიაქიმი შემოიღებს თავის წევრებისათვის საერთო საკავშირო სწევრო წიგნაკს.

— **ახალი გუთნები.** მიწათმოქ კომისარიატმა კახეთში გაგზავნა 40 ახალი გუთანი.

— **ტელეფონი ბათომ—ფოთის შუა.** ფ.-ტ. კომისარიატმა დაამთავრა სატელეფონო ხაზის მოწყობა ბათომ-ფოთს შუა.

საბინაო ნიხრი 1-ლი იანვრიდან ტფილისში შემოღებული იქნება ახალი საბინაო ნიხრი, რომელიც გადიდებული იქნება ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **კურსები.** შრომის ინსპექტორების მოსამზადებლად შრომის კომისარიატი ხსნის ხოკლედიან კურსებს.

— **საქონლის შემოტანა.** ამე რიკული კომიტეტს ნება მიეცა ამერიკიდან პარსეთში გაატაროს ამიერ-კავკასიაზე 30 ათასი დოლარის საქონელი.

— **დახ'ვენებელი დღეები.** შრომის კომისარიატი აცხადებს, რომ 25 და 26 დეკემბერი ითვლება დასასვენებელ დღეებათ.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** უმუშევრობასთან მებრძოლ შრომის კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 1599 კაცი.

წიგნების სარეკომენდაციო სია 1905 წლის რევოლიუციაზე.

პოლიტიკური:

რევოლიუციის მატიანე № 5 „ცეკა“ 1925 წ.
1905 წლის რევოლიუც. 20 წლის თავისთვის გვ. 362-366
„ „ № 4—5 (9—10) 1924
5 გვერდიდან 125 გვერდამდე.
„ „ № 4-1923 წ.
1905 წლის რევ. წითელი „დროშა“ გვ. 307
რევ. მატიანე 1924 წ. № 1 (6)
გურიის რესპუბლიკის ამბები.
1905 წლის 9 იანვარი ტ. „მნათობი“ 1925 წ.
მდიდარი მასალებია აღნიშნულ თემაზე.
ქლენტი თ. 1905 წელი გურიაში, ბათომი გაზ. „ფუხარას“ გამ. 1925 წ.

მხატვრული:

ქიაჩელი ლ.—ტარიელ გოლუა ტ. „საჰ. კავკ.“ 1925 წ. გვ. 203
ლუტსპირელი—ტყის ძმები ტ. „ივერთლება“ 1919 წ. გვ. 115
ხოტაევი—ახალი ტალღები ტ. „წ. კ. სახ.“ 1920 წ. გვ. 294.
ლომთათიძე პ. თხუთულებათა 1 ტომი ტ. „სახელგამი“ 1925 წ. გვ...
„ „ II ტომი „ „ გვ.
1905 წლის 9 იანვარი ტ. „მნათობი“ 1925 წ. გვ.
„ჩირაღდანი“ № 21 1924 წ. რევოლიუციის მსჯელობანი—ასლამაზიშვილი.
„ჩირაღდანი“ № 3—4 1924წ. ნაძალადევის არწივნი, ასლამაზიშვილის.
1917 წლამდე დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის ტ. 1923 წ.
„მნათობი“ № 8—9, 10 კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ 1925 წ.
მდიდარი მასალებია ვაზ. „წითელი არმიელის“ ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებში 1925 წ.
№№ 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 268, 269, 270, 275, 276, 280, 281, 282, 285.
დივბიბლიოთეკასთან არსებულ საბიბლიოგრაფიო ბიურო.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ. ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-8 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. გელეშვილი ვანოს—(მეთაური. უპარტიო) და 2. არჩუაშვილი ნიკოლოზს—(მეთაური. კ. კ. წევრი).

კანდიდატებს—პარტიის წევრობად გადარიცხვაზე:

1. მაისურაძე ალექსანდრეს (მეთაური). 2. ენუქიძე გალაქტიონს (მეთაური).

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობით ან გვაცნობოთ სიტყვიერად მე-8 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის პას. მგ. მ. ა. მურადოვი

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-6 ე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, ოცეულის მეთაურს ამხ. მატახარია ლავრენტი პეტრეს ძეს. (ჰცხოვრობს ქ. ფოთში). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, ან რაიმე უარყოფითი იცის ზემოაღნიშნულ პირზე, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ათი დღის განმავლობაში.

შემდეგი მისამართით: 1-ლ ქართ. მსროლელ ლეგიონის კომუჯრედში.

განცხადებები

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

„ჩვენ აღმშენებლობა“-ზე

(ტფილისის საბჭოს ორგანო)

1926 წლის იანვრის თვიდ.ნ.

ჟურნალი გამოდის ყოველთვიურად ქართულ და რუსულ ენაზე, ცალ-ცალკე.

ჟურნალი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალაქის და საზოგადოდ ჩვენი მეურნეობის საკითხების გაშუქებას.

ჟურნალში თანამშრომლობისათვის მიწვეულნი არიან საუკეთესო ადგილობრივი ლიტერატურული ძალები. ამას გარდა ჟურნალს ჰყავს აგრეთვე თანამშრომელი—კორესპონდენტები საბჭოთა რუსეთში და საზღვარ გარეთ.

ხელის მოწერის პირობები:

ტფილისში მიტანით	პროვინციაში გადაგზავნით
1 თვით —50 კ.	—70 კ.
3 „ 1 მან. 40 „	2 მან.
6 „ 2 „ 60 „	3 „ 80 „
9 „ 3 „ 80 „	5 „ 60 „
12 „ 5 „	7 „ 40 „

განცხადების ფასი:

1 გვერდი 50 მან.
1/2 „ 30 „
1/4 „ 20 „

მრავალჯერ დაბეჭდილი განცხადებების ფასი დაკლებული.

კანზე განცხადების ფასი 100% ძვირია.

ცალკე ნომერი ეყიდება 60 კაპ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: ა.ყ. წერეთლის ქ. (ყოფ. გაბაშვილის). № 2 ოთახი № 21, ტელ. № 8—82 (ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება).

ხელის მოწერა და განცხადება მიიღება დილის 9 დან-ნამ. 3 ნახ. საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.

რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მოწერითათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან

წითელ-არმიელებისთვის ძოლექტიური ხელის-წერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელითათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.

დაკარგვა გურიის კომიტეტიდან გაცემული კუპარტიის კანდიდატობის მოწმობა №7136 დ. ქაიხამაძის სახელზე. ჩითვალოს გაუქმებულად.